პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

--- ივნისი 2026 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-11 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზების მიზნით შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
   ა) დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ივანე მაისურაძე;
   ბ) დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ნუკრი დეკანაძე;
   გ) დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ნატალია ზოიძე;
   დ) დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ლევან ცხოიძე;
   ე) დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ლევან დავითაძე;
   ვ) დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ბერიძე;
   ზ) დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე - მინდია გოგუაძე;
   თ) დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე - გოჩა მგელაძე;
   ი) დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - სულიკო გოგოლიშვილი;
   კ) დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - დავით კოპინაძე;

ლ) დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - არჩილ გირკელიძე;

მ) დროებითი სამუშაო ჯგუფის მდივანი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ე.ჭ.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიქმნას 3 თვის ვადით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართვა, რომლის თანახმად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 მაისის განკარგულებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი. საკითხი ეხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გარკვეულ ნაწილს, რომელიც შესაძლოა, მოექცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-11 მუხლის თანახმად საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით, მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობითა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე საქართველოს პარლამენტს მიმართოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წარდგინებით. ხოლო, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობა წარედგინება შესაბამის სამთავრობო კომისიას. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

გ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმით გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული საკითხი საჭიროებს შესწავლასა და მისი გადაწყვეტისათვის შესაბამისი დოკუმენტაციისა და სამართლებრივი აქტების მომზადებას, მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი.

ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილება მნიშვნელოვანი რეგიონული და მუნიციპალური პროცესია, რომელიც მოითხოვს დეტალურ შესწავლას, სქემატური რუკის მონაცემების გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ დამუშავებას, მომიჯნავე მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით.

ა.ბ) პროექტის არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა და მისი პერსონალური შემადგენლობის (თავმჯდომარე, მოადგილე, წევრები და მდივანი) დამტკიცება.

ამასთანავე, პროექტით განისაზღვრება დროებითი სამუშაო ჯგუფის ფუნქციონირების 3 (სამი) თვიანი ვადა, რაც წარმოადგენს გონივრულ ვადას საჭირო ფაქტობრივი გარემოებების შესასწავლად, კარტოგრაფიული მასალების დასამუშავებლად, მოსახლეობასთან კონსულტაციების ასახვისა და შესაბამისი შუამდგომლობის პროექტის სრულყოფილად ჩამოსაყალიბებლად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს და არ მოახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:
პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი **ირაკლი თავართქილაძე**